

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს

სხდომის ოქმი N20

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

19.07.2018 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - *ალექსანდრე ლილუაშვილი*.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს ბიუროს 9 წევრი: – ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, რამაზ არველაძე, ტარიელ ბარამიძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა საკრებულოს ბიუროს წევრი: კობა ძაგნიძე, გელა ჩიკვაძე, გელა ღვიტიძე.

(დანართი N1)

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - *ლუბა გოგოძე*.

მოწვეული პირები:

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - *ივანე მამფორია*.
მერიის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი **ზვიად კაპანაძე**.
მერიის სივრცითი მოწყობის ინფარსტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი - **მამუკა ნამიჭეიშვილი**.

ზედამხედველობის სამსახურის უფროსი - *თემური სოხანიეშვილი*.

სხდომა 14⁰⁰ საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა და წარმოადგინა 2018 წლის საკრებულოს 19 ივლისის სხდომის დღის წესრიგი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
მომხს. /ივანე მამფორია/

2. „ვანის მუნიციპალიტეტისა და ვანის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“

მომხსენებელი: /გიორგი ივანიაძე/

3. „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივ რანგებში განაწილების და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

მომხსენებელი: /ტარიელ ბარამიძე/

4. „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის „ზედამხედველობის სამსახურის დებულების“ დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N67 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელი: /ნარგიზი ალფაიძე/

5. „ვანის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვანის ადმინისტრაციული ერთეულში სოლომონ II-ის ქუჩის N55 და N65 დამისამართებულ ობიექტებს შორის არსებული რაგბის მოედნისა და ტრიბუნებისთვის (საკადასტრო კოდით N31.01.30.188) ბეჟან ხურციძის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“.

მომხსენებელი: /გიორგი ივანიაძე/

6. „ვანის მუნიციპალიტეტის მუქედის ადმინისტრაციული ერთეულში არსებული მე-4 ქუჩისათვის (I ჩიხის ჩათვლით) 2011 წლის 24 მაისს საბრძოლო დავალების შესრულების დროს ავღანეთში ჰიმლენდის პროვინციაში გმირულად დაღუპული ლავროსი (ლაშა) ივანიაძის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“.

მომხსენებელი: /გიორგი ივანიაძე/

7. „ვანის მუნიციპალიტეტის მუქედის ადმინისტრაციული ერთეულში არსებული მე-10 ქუჩისათვის (ჩიხის ჩათვლით) 2008 წლის 11 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში სოფელ შინდისში გმირულად დაღუპული მიხეილ დვალიშვილის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“.

მომხსენებელი: /გიორგი ივანიაძე/

8. „ვანის მუნიციპალიტეტის დიხაშხოს ადმინისტრაციული ერთეულში არსებული მე-6 ქუჩისთვის (ამავე ქუჩის შესახვევებისა და ჩიხების ჩათვლით) 2008 წლის 9 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში ქალაქ ცხინვალში გმირულად დაღუპული დავით დვალიშვილის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“.

მომხსენებელი: /გიორგი ივანიაძე/

9. „ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრისა და მუნიციპალური საკუთრების ობიექტების პრივატიზების პროცესის დაჩქარებისა და მოწესრიგების ღონისძიებების თაობაზე“.

მომხსენებელი: /ზვიად კაპანაძე/

10. „ვანის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისათვის გამოყოფილი თანხიდან შესასრულებელი სამუშაოების ნუსხის დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელი: /მამუკა ნამიჭეიშვილი/

სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ სხვადასხვა დასაზუზტებელი მიზეზების გამო, პირველი ოთხი საკითხი გადადებული იქნება, განიხილება უახლოეს საკრებულოს სხდომაზე და კენჭი უყარა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე - 9

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ, წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვანის ადმინისტრაციული ერთეულში სოლომონ II-ის ქუჩის N55 და N65 დამისამართებულ ობიექტებს შორის არსებული რაგბის მოედნისა და ტრიბუნებისთვის (საკადასტრო კოდით N31.01.30.188) ბეჟან ხურციძის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“ (დანართი N2).

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილია ოთხი განკარგულების პროექტი სახელის მინიჭებაზე. მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე და რეგისტრაციის ყველა წესის დაცვით, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია სხვადასხვა პიროვნებების სახელების მინიჭება აღნიშნულ ობიექტებზე.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეხუთე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2018 წლის 19 ივლისის სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მუქედის ადმინისტრაციული ერთეულში არსებული მე-4 ქუჩისათვის (I ჩიხის ჩათვლით) 2011 წლის 24 მაისს საბრძოლო დავალების შესრულების დროს ავღანეთში ჰიმლენდის პროვინციაში გმირულად დაღუპული ლავროსი (ლაშა) ივანიაძის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“. (დანართი N3)

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეექვსე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2018 წლის 19 ივლისის სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მუქედის ადმინისტრაციული ერთეულში არსებული მე-10 ქუჩისათვის (I ჩიხის ჩათვლით) 2008 წლის 11 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში სოფელ შინდისში გმირულად დაღუპული მიხეილ დვალიშვილის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“.
(დანართი N4)

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეშვიდე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2018 წლის 19 ივლისის სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მერვე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის დიხაშხოს ადმინისტრაციული ერთეულში არსებული მე-6 ქუჩისთვის (ამავე ქუჩის შესახვევებისა და ჩიხების ჩათვლით) 2008 წლის 9 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში ქალაქ ცხინვალში გმირულად დაღუპული დავით დვალიშვილის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“.
(დანართი N5)

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მერვე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2018 წლის 19 ივლისის სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიდ კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრისა და მუნიციპალური საკუთრების ობიექტების პრივატიზების პროცესის დაჩქარებისა და მოწესრიგების ღონისძიებების თაობაზე“. (დანართი N6)

მომხსენებელმა წარმოადგინა საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ოთხი ობიექტი თავისი საწყისი ფასებით.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეცხრე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2018 წლის 19 ივლისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეათე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ნამიჭეიშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოების

განხორციელებისათვის გამოყოფილი თანხიდან შესასრულებელი სამუშაოების ნუსხის დამტკიცების შესახებ“(დანართი N 7).

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ საკრებულოს 2018 წლის 12 იანვრის N 27 16 განკარგულებაში სამუშაოების ჩამონათვალში ცვლილებების გარეშე დაზუსტდა და დაკორექტირდა ობიექტების სახარჯთაღრიცხო ღირებულება და წარმოადგინა დანართი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეათე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2018 წლის 19 ივლისის სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს ბიუროს სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის თავმჯდომარე